საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აღსრულების ეროვნული ბიურო

# ადმინისტრაციული ჯარიმები

ნუ გაირთულებთ ცხოვრებას, გადაიხადეთ ჯარიმები დროულად!

ყურადღებით გაეცანით საჯარიმო ოქმით განსაზღვრულ თქვენს უფლება-მოვალეობებს!

გადაიხადეთ ჯარიმა კანონით განსაზღვრული 30 კალენდარული დღის (და არა 1თვის ) ვადაში!

ნუ დაელოდებით გადახდის ბოლო დღის დადგომას!

**ვადაში გადახდილი ჯარიმა თავიდან აგაცილებთ ისეთ გართულებებს, როგორიცაა:**

საურავის დარიცხვა;

ა) პატრულის 10 და 20 ლარიან ჯარიმებზე-საურავი 150 ლარი, 150, 200, 300 ლარიან ჯარიმებზე-საურავი 500 ლარი

ბ) ავტობუსის 5 ლარიან ჯარიმაზე-საურავი 50ლარი

გ) "სი-თი პარკის" 10 ლარიან ჯარიმაზე -საურავი 150 ლარი

დ) სხვა კატეგორიის ჯარიმებზე - საურავი კანონ-მდებლობით გათვალისწინებული ოდენობით

- მოვალეთა რეესტრში რეგისტრაცია;
- საკუთრებაში არსებული ქონების დაყადაღება;
- დაყადაღებული ქონების იძულებითი რეალიზაცია;
- აღსრულების საფასურის დაკისრება.

www.nbe.gov.ge

n 13/834 PX 4568/1
ეროვნული ბიბლიოთეკა

**თქვენს მიმართ განხორციელებული ყველა შეზღუდვა გაუქმდება, თუ:**

ალსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ წინადადების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში გადაიხდით ჯარიმის/საურავის თანხას ალსრულების საფასურთან ერთად.

**თქვენს მიმართ სააღსრულებო წარმოება შეწყდება:**

- დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში.
- ამნისტიის აქტის გამოცემის შემთხვევაში.
- ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძველზე, თუ სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 5 წელი.

**თუ მიიღეთ წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების შესახებ და არ გაქვთ დავალიანების სრულად დაფარვის შესაძლებლობა:**

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონი თქვენ, როგორც მოვალეს განიჭებთ უფლებას, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე მოითხოვოთ აღსრულების განწილვადება 12 თვემდე ვადით. განწილვადების მოთხოვნით უნდა მიმართოთ აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, მოახდინოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადება. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსასრულებელ საქმეებზე აღსრულების ეროვნული ბიურო თავად იღებს გადაწყვეტილებას თანხის განწილვადებასთან დაკავშირებით, ხოლო სხვა საქმეებზე აუცილებელია კრედიტორის თანხმობა.

ჯარიმ



www.nbe.gov.ge